# საქართველოს მთავრობის

# დადგენილება №509

## 2021 წლის 15 ოქტომბერი

## ქ. თბილისი

**„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

**მუხლი 1**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილებაში (სსმ, 2010 წელი, მუხლი 538) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „სსიპ – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების“:

**1. პირველი გრაფის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის $1^1$ გრაფა:**

| | | | |
|---|---|---|---|
| „$1^1$ | აზარტული ან/და მომგებიანი თამაშების მიწოდების ნებართვის გაცემა | 20 სამუშაო დღე<br>10 სამუშაო დღე<br>5 სამუშაო დღე | უფასო<br>5000 ლარი<br>10000 ლარი“. |

**2. 24-ე გრაფის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის $24^1$ გრაფა:**

| | | | |
|---|---|---|---|
| „$24^1$ | აზარტული ან/და მომგებიანი თამაშების მიწოდების პირობებში ცვლილებების შეტანაზე თანხმობის გაცემა | 5 სამუშაო დღე<br>3 სამუშაო დღე | 500 ლარი<br>1000 ლარი“. |

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**პრემიერ-მინისტრი** **ირაკლი ღარიბაშვილი**